თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 2 დეკემბრის სხდომის ოქმი #15

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 8, სულ –29 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსიე. ხარაიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო გეგმებში ცვლილებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსიე. ხარაიშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილებაა: თსუ–ში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით მოხდა ფაკულტეტის საბჭოში შემავალი სტუდენტების სიის გაახლება (საფუძველი: თსუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ბახვა კვირიკაშვილის განცხადება #8720/29, 05.12.2016). სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ახალი წევრები.

კენჭისყრაზე დადგა ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრების ლეგიტიმაციის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 32**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 4 დეკემბრის #15 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2016 წლის სამაგისტრო პროპგრამის კურსდამთავრებულის თეონა ზედელაშვილის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პრეზიდენტის ერიკ ლივნის წარდგინება (№8402/29, 17.11.2016), რომლითაც ითხოვს 2016 წლის კურსდამთავრებულის თეონა ზედელაშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. თეონა ზედელაშვილმა 2016 წელს დაამთავრა ეკონომიკის საერთაშროისო სკოლა, შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი, მათ შორის კვლევითი პროექტი. საკითხი ხარისხის მინიჭების შესახებ განიხილა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის საბჭომ (7 მომხრე, 0 წინააღმდეგი) და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ამჟამად ფაკულტეტის საბჭომ უნდა მიანიჭოს თეონა ზედელაშვილს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და უნდა მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 29**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2016 წლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის თეონა ზედელაშვილის ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო გეგმებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე მოქმედი 5 მოდულური პროგრამება, რომლის კურიკულუმი გაკეთებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ამჟერად მოქმედ კურიკულუმში განხორციელდა პროგრამული ცვლილებები, რომელიც ძირითადად სამი სახეობის არის:

1. შეიცვალა ზოგიერთი საგნის დასახელება, მაგალითად:
   ა. სასწავლო კურსის ,,კომუნიკაცია" ნაცვლად ამჟამად არის ,,ინტერპერსონალური კომუნიკაცია";
   ბ. სასწავლო კურსის ,,ექსკურსიის მომზადება" ნაცვლად არის ,,ექსკურსიის ჩატარება" და სხვა.

2. საგნები, რომლებიც ისწავლებოდა მე-2 სასწავლო წელს გადატანილია პირველ სასწავლო წელს და პირიქით.

3. შეცვლილია მოდულური პროგრამებში დატვირთვის კვირეული რაოდენობა. მაგალითად საგანი ,,მეწარმეობა" გათვლილი იყო 35 კვირაზე. ზოგ მოდულში ამჟამად არის 16 კვირა, ზოგში - 18. თუ 15 კვირის შემთხვევაში კვირაში დატვირთვა შეადგენდა საშუალოდ 2-3 საათს, ამჟამად კვირეული დატვირთვა გაზრდილია 3-6 საათამდე. ასეთივე ცვლილებების განხორციელებული სხვა საგნებშიც.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ აღნიშნულ ცვლილებებს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მან აღნიშნა, რომ მოდულურ პროგრამებზე მუშაობა წელიწადნახევარზე მეტი პერიოდი გრძელდებოდა. საგნების დასახელება, სილაბუსები და ყველა სათანადო მასალა დადგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, სადაც მუშაობენ დარგობრივი ჯგუფები და ისინი იღებენ ყველა გადაწყვეტილებას.

ქ-მა ე. ლეკაშვილმა, ასევე, აღნიშნა, რომ შექმნილია სერიოზული პრობლემები, კერძოდ ის, რომ თითოეულ სტუდენტზე თავდაპირველად სწავლის საფასური განსაზღვრული იყო 2250 ლარის ოდენობით. ასევე, ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა იყო 20. მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ეს რაოდენობა შეამცირა 10-მდე, სტუდენტთა რაოდენობა გადაიგზავნა ქუთაისში. ორი კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ ანაზღაურება ლექციის ჩატარებისთვის განისაზღვრა 4-5 ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც ჩასატარებელია საკმაოდ შრომატევადი სამუშაო. ამ ანაზღაურებით არც დოქტორანტები და არც სხვა ლექტორები არ იმუშავებენ. სწავლა იწყება 7 დეკემბრს და ეს ადასტურებს იმას, რომ საკითხი არის

მოუმზადებელი, სათანადო დონეზე არ არის ადმინისტრირებული. ამ ეტაპზე რესურსები არ არის მოძიებული, რადგანაც მეორე სემესტრის საგნები გადმონაცვლდა პირველ სემესტრში და პირიქით. პროგრამებში მოქმედებს შეფასების განსხვავებული სისტემა და მასწავლებლებს არ აქვთ ტრეინინგი გავლილი ამასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს ქმნის ძალიან დიდი პრობლემებს, რაც ადასტურებს იმას, რომ სწავლის დაწყებისთვის მზაობა არ არსებობს, არ არის ფინანსური დაინტერესება და მუდმივი ცლილებების რეჟიმში მუშაობა საკმაოდ რთულია. აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, ქ-მა ე. ლეკაშვილმა მოითხოვა 2016 წლის 7 დეკემბრის ნაცვლად სწავლის დაწყების ვადის გადატანა 2017 წლის 16 იანვრისთვის.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - მან აღნიშნა, რომ პროფესიული კვალიფიკაცია ,,შემფასებელი" არის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, რომელსაც სჭირდება სწავლა ყველაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისი მოთხოვნა იყო, რომ ამ სპეციალობისთვის წინაპირობად განსაზღვული ყოფილიყო ბაკალავრის ან იურისტის აკადემიური ხარისხი, რაც არ იქნა გათვალისწინებული. დაპირების მიხედვით, სამინისტრო ითხოვდა უნივერსიტეტიდან მხოლოდ თანხმობას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის. ასევე, მოხდებოდა სათანადო ტექნიკით და ყველანაირი ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. ახლა ეს დაპირება არ არის შესრულებული სახელმძღვანელოებთან და სასწავლო მასალებთან მიმართებაში. ასევე 20%-ით მცირდება ანაზღაურება. ყოველივე ეს კი დიდ პრობლემებს ქმნის. რაც შეეხება სწავლის თარიღის გადატანას, მან აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება შედეგს ვერ მოიტანს და ის წინააღმდეგია სწავლის გადავადების.

ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე - მან აღნიშნა, რომ იქ, სადაც ხორციელდება მსგავსი პროგრამები, არის დიდი კონტროლი ხარისხთან დაკავშირებით. ვინაიდან ანაზღაურება ძალიან დაბალია, გამოითქვა აზრი, რომ მასწავლებლებად იმუშაონ ბაკალავრებმა, რაც ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად, იქმნება დიდი პრობლემები.

ასისტ. პროფ. ვ. არღუთაშვილი - მან აღნიშნა, რომ დასაწყისისთის არცერთი საქმე არ არის მარტივი. აღსანიშნავია ის, რომ შემოტანილია 55 ახალი კომპიუტერი. ასევე, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სწავლის დაწყების თარიღის გადავადება.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ თ. ბერიძემ საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებისა და სწავლის დაწყების გადავადების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 1

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების სასწავლო გეგმებში;
2. სწავლის დაწყების თარიღად ნაცვლად 2016 წლის 7 დეკემბრისა განისაზღვრის 2017 წლის 16 იანვარი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე